დანართი №2

შპს ცხუმ-ეგრისის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის "მასაჟის თერაპია" დამატების შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის
დასკვნა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ნანა მონიავა

წევრები:

ხათუნა ურუშაძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: ----------შპს ცხუმ-ეგრისი----------

ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა: ----------შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს)--------

საიდენტიფიკაციო კოდი: ----------220377759----------

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

☒ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ვიზიტი.

ექსპერტთა ჯგუფმა სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2026 წლის 14 თებერვლის N163957 (ცვლილება ბრძანებაში N261777 04/03/2026) ბრძანების საფუძველზე, განახორციელა ვიზიტი შპს ცხუმ-ეგრისში (მისამართი: ზუგდიდი, მ.კოსტავას ქ. N 32) 2026 წლის 10 მარტს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის "მასაჟის თერაპია" განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის No99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტთან შესაბამისობის დასადგენად.

ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფმა, წინასწარ შეისწავლა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი და საჯაროდ, ვებგვერდზე განთავსებული დოკუმენტაცია. ჯგუფის ფარგლებში გაიმართა სამუშაო შეხვედრები, რომლის შედეგადაც შემუშავდა ვიზიტის დღის წესრიგი და განისაზღვრა შეფასების პროცესში დასაზუსტებელი ძირითადი საკითხები. აღნიშნული დღის წესრიგი წინასწარ გაეგზავნა დაწესებულებას და ვიზიტი წარიმართა მასთან სრული შესაბამისობით.

ვიზიტი განხორციელდა კონსტრუქციულ და თანამშრომლობით გარემოში. ექსპერტთა ჯგუფმა ინტერვიუები ჩაატარა დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, ხარისხის უზრუნველყოფის, სასწავლო პროცესის, ადამიანური რესურსებისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მართვაზე პასუხისმგებელ პირებთან, შრომის უსაფრთხოების სპეციალისტთან, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელთან, ასევე პროფესიული განათლების მასწავლებლებთან.

ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის აუცილებელი ინფრასტრუქტურა, მათ შორის სასწავლო სივრცეები, ბიბლიოთეკა და სხვა შესაბამისი მატერიალური რესურსები.

მიღებული ინფორმაცია გაანალიზდა დოკუმენტური მასალის, ადგილზე ვიზუალური დათვალიერებისა და ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე. ძირითადი მიგნებები ვიზიტის მიმდინარეობისას ეცნობებოდა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხოლო ვიზიტის დასასრულს მოხდა მათი სისტემური შეჯამება.

III. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, მოიყვანოთ საუკეთესო გამოცდილების მაგალითი(ებ)ი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

ნაწილი II. სტანდარტთან შესაბამისობა და რეკომენდაციები

I. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

II. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

*გთხოვთ, ასახოთ **ყველა ხარვეზი** (სტანდარტის შეუსაბამობა), რომელიც გამოვლინდა ვიზიტის პერიოდში, სტანდარტის ინდიკატორის მითითებით.*

ვიზიტის დროს ხარვეზი არ დაფიქსირებულა.

III. სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

*გთხოვთ, ასახოთ **ყველა ის რეკომენდაცია,** რომელიც დაწესებულებას მიეცა II სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, სტანდარტის ინდიკატორის მითითებით.*

შესაბამისობის რეკომენდაცია არ გაცემულა.

IV. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

*გთხოვთ, ასახოთ **ყველა ის რეკომენდაცია,** რომელიც დაწესებულებას მიეცა II სტანდარტთან მიმართებით, განსავითარებლად და პროცესების უკეთ წარმართვის უზრუნველსაყოფად, შესაძლებლობის შემთხვევაში სტანდარტის ინდიკატორის მითითებით.*

დაწესებულებას ეძლევა განმავითარებელი რეკომენდაცია „2.2.1.3 პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია“ ინდიკატორთან მიმართებით:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებლებს აქვთ პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავებისა და შეფასების კომპეტენცია. თუმცა სასურველია პსდ-მ იზრუნოს მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებაზე და კვალიფიკაციის ამაღლებაზე პერმანენტულად, რათა დაცული იყოს სწავლებისა და შეფასების ერთიანი სტანდარტი და უზრუნველყოფილი იყოს პროგრამის ხარისხიანი განხორციელება.

V. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

ნაწილი III. ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

I. ზოგადი ინფორმაცია

პროგრამის სახელწოდება	მასაჟის თერაპია Massage Therapy
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია მასაჟის თერაპიაში; Higher Vocational Qualification in Massage Therapy
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0915
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	N 01-29 / 31.12.2025 წ
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ზუგდიდი, მ.კოსტავას ქ. N 32
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებული
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	-
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	32

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით *(არსებობის შემთხვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	97
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	127

II. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

იმ შემთხვევაში, თუკი ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას, მიუთითეთ ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების, განხორციელების ფორმისა და არსებობის შემთხვევაში, ინტეგრირებული სასწავლო გეგმის მიხედვით და შემდეგ დაასაბუთეთ თქვენი შეფასება.

პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____

დასაბუთება

.....
.....
.....
.....

ნაწილი IV. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1 პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას. კერძოდ: გამოიკვეთა, რომ საგანმანათლებლო პროგრამის ინიცირება არ წარმოადგენს სპონტანურ ან

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: .....
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: .....
.....
.....

მოკლევადიან საჭიროებაზე რეაგირებას, არამედ ეფუძნება კოლეჯის გრძელვადიან სტრატეგიულ ხედვას. პროგრამის დამატება პასუხობს კოლეჯის მისიას, რადგან ის ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი კომპეტენციის კადრის მომზადებას მრავალპროფილური პროგრამების შეთავაზებით. პროგრამის განხორციელების მნიშვნელოვნების დასტურია ისიც, რომ საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2025 წლის MES 7 25 0000130740 ბრძანებით ჯანდაცვის მიმართულების პროგრამები განისაზღვრა, როგორც პრიორიტეტული. კოლეჯის მისია – რომელიც გულისხმობს კოლეჯსა და რეალურ ბიზნესს შორის მყარი, ურთიერთეფექტური თანამშრომლობის მექანიზმების განვითარებით თავისი წვლილის შეტანა ქვეყნისა და რეგიონის ეკონომიკის განვითარებაში - „მასაჟის თერაპიის“ პროგრამა, ჯანდაცვის სფეროს მზარდი მოთხოვნების გათვალისწინებით, მიზნად ისახავს კონკურენტუნარიანი, კომპეტენტური კადრების მომზადებას, რაც სრულად შეესაბამება კოლეჯის ძირითად პრინციპებს. გადაწყვეტილება პროგრამის განხორციელების შესახებ დასაბუთებულია და შესაბამება კოლეჯის მისიასა და სტრატეგიული განვითარების გეგმას.

ავტორიზაციის ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორი 2.1.1.1 შესაბამისობაშია.

2 „მასაჟის თერაპიის“ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამაზე მიღების ძირითადი კრიტერიუმია სრული ზოგადი განათლების მქონე პირი, რაც შეესაბამება მოქმედ პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტს. აღნიშნული წინაპირობა ხელს უწყობს იმ კანდიდატთა შერჩევას, რომელთაც გააჩნიათ საწყისი საჭირო ცოდნა და უნარ-ჩვევები, რაც პროგრამის ეფექტურად ათვისების წინაპირობაა. ჩარიცხვის პროცედურები დეტალურად გაწერილია კოლეჯის ცდა სრულად შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას. პროცესი განხორციელდება აპლიკანტების მიერ საჭირო დოკუმენტაციის წარმოდგენის საფუძველზე, რაც უზრუნველყოფს გამჭვირვალობასა და თანასწორობას.

შეფასებისას მნიშვნელოვანია ასევე ის, რომ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირებისთვის დაწესებულება ითვალისწინებს მათ შესაძლებლობებზე მორგებულ მიდგომას და ჩარიცხვას ახორციელებს პროფესიის მოსინჯვის საფუძველზე, რაც ხაზს უსვამს ხელმისაწვდომობისა და ინკლუზიურობის პრინციპების გათვალისწინებას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები რაციონალურად განსაზღვრულია და სრულად უზრუნველყოფს პროგრამის მიზნების და სასწავლო შედეგების მიღწევის რეალურ შესაძლებლობას.

ავტორიზაციის ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორი 2.1.1.2 შესაბამისობაშია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

3 დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია, რომელიც დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის მიერ "სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით". ბრძანებით კი დაწესებულების დირექტორმა განისაზღვრა და დამტკიცდა "მასაჟის თერაპიის" პროგრამაზე მისაღები სტუდენტების ზღვრული ოდენობა, პროფესიულ საგანმანთლებლო პროგრამების სპეციფიკის, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, პრაქტიკის ობიექტებისა და პროგრამის განმახორციელებელ პროფესიული განთლების მასწავლებელთა რაოდენობის გათვალისწინებით. პროგრამის დამატების შემთხვევაში, სასწავლო გარემოდ განისაზღვრა *ერთი* A/C და ერთი **C** სასწავლო გარემო (B სასწავლო გარემოს პროგრამა არ საჭიროებს), რომლებშიც პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობაა - 16. კვირეული საათობრივი დატვირთვისა და მოდულების განხორციელებისთვის საჭირო გარემოს სპეციფიკის გათვალისწინებით, პროგრამის განხორციელება ნამდვილად შესაძლებელია 32 სტუდენტზე, რადგან დაწესებულების განცხადებით, ისინი თავდაპირველ მიღებას გეგმავენ ორ ეტაპად - 16-16 პროფესიული სტუდენტისთვის, რაც ხელს შეუწყობს სასწავლო ცხრილის აწყობას ისე, რომ ორივე მიღების ფარგლებში ჯამში 32 სტუდენტზე გადანაწილდეს შესაბამისი გარემოს გამოყენება.

პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა პროგრამაზე „მასაჟის თერაპია" განსაზღვრულია დადგენილი მეთოდოლოგიის სრული დაცვით და ასახავს პროგრამის ინფრასტრუქტურულ და რესურსულ შესაძლებლობებს. რაოდენობა რეალისტურია და პროგრამის ეფექტური განხორციელების წინაპირობას წარმოადგენს.

ავტორიზაციის ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორი 2.1.1.3 შესაბამისობაშია

4 ექსპერტთა მიერ ვიზიტის ფარგლებში დოკუმენტაციის შემოწმების საფუძველზე დადგინდა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,მასაჟის თერაპიის" განხორციელებისთვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური და საგანმანათლებლო რესურსები ნამდვილად უზრუნველყოფს წინასწარ განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იქნა დეტალური ჩამონათვალი იმ რესურსებისა, რომლებიც საჭიროა პროგრამით განსაზღვრული მოდულების მისაღწევი შედეგების დასაფარად. ამასთან, ხარისხის მართვის მექანიზმები (სტუდენტთა და განმახორციელებელთა გამოკითხვა) მოიაზრებს საკითხებს პროგრამის რესურსების შეფასებასთან დაკავშირებითაც, რაც დაწესებულებს საშუალებას აძლევს პერიოდულად მიიღოს სტუდენტებისა და განმახორციელებლებისგან უკუკავშირი მატერიალურ და საგანმანათლებლო რესურსებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა შეფასებით, პროგრამის მოდულებით გათვალისწინებული რესურსები არის რელევანტური, ადეკვატური და პრაქტიკულად გამოყენებადი, რაც საშუალებას აძლევს პროფესიულ სტუდენტებს მიაღწიონ პროგრამით განსაზღვრულ შედეგებს და მოემზადონ რეალურ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

სამუშაო გარემოში ინტეგრაციისათვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორი 2.1.1.4. შესაბამისობაშია

5 დაწესებულებას პროგრამის ფარგლებში განსახორციელებლად აქვს გათვალისწინებული არჩევითი მოდული „ესთეტიკური მასაჟი“, რომელიც ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული მოდულის დანერგვა ემყარება როგორც სტანდარტულ მოთხოვნებს, ისე პრაქტიკულ საჭიროებებს, რაც კიდევ უფრო ამყარებს პროგრამის შესაბამისობას ბაზრის მოთხოვნებთან და ზრდის კურსდამთავრებულთა დასაქმების პოტენციალს.

ავტორიზაციის ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორი 2.1.1.5. შესაბამისობაშია

6 საგანმანათლებლო პროგრამა „მასაჟის თერაპია“ კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის შესაბამისად შემუშავებულია სამუშაო ჯგუფის მიერ და დამტკიცებულია უფლებამოსილი პირის - შპს „ცხუმ-ეგრისის დირექტორის 2025 წლის 31 დეკემბრის N 01-29 ბრძანებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორი 2.1.1.6. შესაბამისობაშია

7 პროგრამის სახელწოდება იდენტურია შესაბამისი ჩარჩო დოკუმენტით განსაზღვრული სახელწოდებისა (“მასაჟის თერაპია”) და მისი შინაარსი და სწავლის შედეგებიც თანხვედრაშია აღნიშნულ დოკუმენტთან. კერძოდ: კურსდამთავრებულები შეძლებენ გამოიკვლიონ პაციენტი/კლიენტიდა შეაფასოს მისი მდგომარეობა, აღწერონ მასაჟის ანატომიურ-ფიზიოლოგიური საფუძვლები, გამოიყენონ ბიოეთიკისა და დეონტოლოგიის პროფესიული ასპექტებისა და ურთიერთობის ფსიქოლოგია, მოაწყონ უსაფრთხო სივრცე მასაჟის პროცედურის ჩასატარებლად, აღწერონ მასაჟის თეორიული საკითხები, გააკეთონ კლასიკური (შვედური) მეთოდიკით ზოგადი და რეგიონალური მასაჟი,სამკურნალო მასაჟი, სპორტული მასაჟი, ადრეული ასაკის ბავშვთა ზოგადგამაჯანსაღებელი და სამკურნალო მასაჟი, პრევენციული (პროფილაქტიკური) მასაჟი, განახორციელონ პირველადი გადაუდებელი დახმარება, იზრუნონ საკუთარ პროფესიულ განვითარებაზე, განახორციელონ ესთეტიკური მასაჟი ან სპა და ბალნეოთერაპიული პროცედურები. პროგრამაში შეტანილი მოდულების შინაარსი სრულად შეესაბამება აღნიშნული სწავლის შედეგების მიღწევას.

აღნიშნულიდან გამომდინარე პროგრამის სახელწოდება სრულად შეესაბამება მის შინაარსსა და სასწავლო მიზნებს, უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას და არ არის შეცდომაში შემყვანი.

ავტორიზაციის ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორი 2.1.1.7 შესაბამისობაშია

8 საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება როგორც დაწესებულების მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ შიდა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

რეგულაციებს, ასევე კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებსა და პროგრამის სტანდარტს - მასაჟის თერაპია; Massage Therapy, სარეგისტრაციო ნომერი 09.2.1 აღნიშნული დოკუმენტის საფუძველზე. განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, დაშვების წინაპირობები, პროგრამის განხორციელების მიზნები, ხანგრძლივობა და მისანიჭებელი კვალიფიკაცია. პროგრამა მოიცავს სასწავლო გეგმას, რომელიც სტუდენტის კვირეულ დატვირთვას, რომელიც შეესაბამება კანონმდებლობას.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს 3 ზოგად მოდულს ჯამური 9 კრედიტის მოცულობით, 13 პროფესიულ მოდულს ჯამური 83 კრედიტის მოცულობით. მასაჟის თერაპიაში უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაციის მისანიჭებლად საჭიროა ჯამურად 97 კრედიტის დაგროვება. დასკვნა: პროგრამა „მასაჟის თერაპია“ შეესაბამება როგორც პროფესიული განათლების სახელმწიფო სტანდარტს, ისე კანონმდებლობით დადგენილ პროგრამის შემუშავების პროცედურებს. პროგრამის შინაარსობრივი სტრუქტურა და ადმინისტრაციულ-სამართლებრივი წესი სრულად უზრუნველყოფს მის ხარისხიან განხორციელებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორი 2.1.1.8 შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“ (ბრძანება N01-11, 16/07/2020)
- პროგრამა „მასაჟის თერაპია“ (ბრძანება N 01-29, 31/12/2025);
- შპს ცხუმ-ეგრისის მისია, ხედვა და ღირებულებები; https://ckhum.edu.ge/article/4
- პროგრამა - მასაჟის თერაპია მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის დასაბუთება;
- სამსახურებრივი ბარათები;
- ინტერვიუ.

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____

☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ვიზიტის ფარგლებში ექსპერტების მიერ გადამოწმებული იქნა პროგრამა „მასაჟის თერაპიის“ განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ ტექნიკური ბაზა. შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ დაწესებულებას გააჩნია შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული A/C და ერთი **C** სასწავლო გარემო (B სასწავლო გარემოს პროგრამა არ საჭიროებს). დაწესებულებას აღნიშნული პროგრამის განსახორციელებლად გამოყოფილი აქვს:

   A / C სასწავლო გარემო (N 22 აუდიტორია). საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პირის მაგიდა სკამით-1კომპლექტი; საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პირის კომპიუტერი: 1 კომპლექტი; პროფესიული სტუდენტის მაგიდა-1 ადგილიანი 16 ცალი; სკამი-16 ც; დაფა-1ც; მონიტორი 1ც; მოდულის ‘‘პირველადი გადაუდებელი დახმარება’’ - გათვალისწინებული ინვენტარი და აღჭურვილობა / თემატიკის შესაბამისი სასწავლო სქემები და საილუსტრაციო მასალა.

   C სასწავლო გარემო (აუდიტორია N 20) პროგრამით გათვალისწინებული ინვენტარი და აღჭურვილობა: სამედიცინო ტახტი და სკამი- 1 კომპლექტი სამასაჟე მაგიდა -8; პროცედურული სკამი-8; თემატიკის შესაბამისი სასწავლო სქემები და საილუსტრაციო მასალა-1; არტერიული წნევის გასაზომი აპარატი - სფიგმომანომეტრი- 5; მოწყობილობა სიმაღლის გასაზომად- 1; ცირკული - გარშემოწერილობის გასაზომად- 1;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____

დინამომეტრი - კუნთების ძალის გასაზომად- 1; სასწორი-1; ლილვაკი (სპეციალური ბალიშები)- 7; ანატომიური მულაჟი- 1; სქოლიომეტრი - სქოლიოზური დეფორმაციის კუთხის საზომი - 1; ჩვილი ბავშვის მულაჟი-16; სამედიცინო ფარდა (შირმა)- 1; სამედიცინო მაგიდა - 1.

ვინაიდან დაწესებულება გეგმავს სტუდენტთა ორ მიღებაზე განაწილებას (პირველი მიღება 16, მეორე მიღება - 16), აღნიშნული მატერიალური რესურსი იძლევა პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევის შესაძლებლობას, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორი 2.2.1.1 შესაბამისობაშია

2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „მასაჟის თერაპიის“ განხორციელების მიზნით, დაწესებულებას ჰყავს 13 პროფესიული განათლების მასწავლებლი (თითო მოდულზე განსაზღვრულია მინიმუმ ორი განმახორციელებელი). დაწესებულების მიერ, ექსპერტებისათვის მიწოდებული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებლების დატვირთვის დოკუმენტის თანხმად, არცერთი მასწავლებლისათვის კვირეული დატვირთვა არ აჭარბებს 40 საათს და ჩანს, რომ პროფესიულ მასწავლებელთა რაოდენობა და მათი დატვირთვა ადეკვატური და საკმარისი იქნება საგანმანათლებლო პროგრამის მდგრადობის უზრუნველსაყოფად.

ავტორიზაციის ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორი 2.2.1.2 შესაბამისობაშია

3. დაწესებულებას პერსონალის მართვის წესით განსაზღვრული აქვს პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვის საკვალიფიკაციო მოთხოვნები. კერძოდ, განსაზღვრულია, რომ პროფესიული განათლების მასწავლებელს უნდა ჰქონდეს დარგის მიმართულებით ან უმაღლესი განათლება, ან პროფესიული განათლება, ან სულ მცირე ორწლიანი სამუშაო გამოცდილება, ან გადამზადების დოკუმენტი, ან შესაბამისი მომზადება/სერტიფიცირება. დაწესებულებას ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ გასაუბრება ჩატარდა პროფესიული მოდულების განმახორციელებელ პროფესიული განათლების მასწავლებლებთან. დაწესებულების მიერ მოწოდებული პირადი საქმეების შესწავლითა და ჩატარებული ინტერვიუებით, დასტურდება, რომ პროფესიულ მასწავლებლებს გააჩნიათ შესაბამისი მოდულების განხორციელების თეორიული და პრაქტიკული კომპეტენცია. შესწავლილი პირადი საქმეების შესაბამისად პროგრამის განმახორციელებელ ყველა პროფესიულ მასწავლებელს უფიქსირდება შესაბამისი მოდულის ცოდნის კვალიფიკაცია ან განათლების დამადასტურებელი დოკუმენტით ან სამუშაო გამოცდილებით, დარგობრივი მოდულების შემთხვევაში - სხვადასხვა სახის სერთიფიკატებით. აღნიშნულზე დაყრდნობით უნდა ითქვას, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებლებს აქვთ პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავებისა და შეფასების კომპეტენცია. თუმც სასურველია პსდ-მ იზრუნოს მასწავლებელთა პროფესიულ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

განვითარებაზე და კვალიფიკაციის ამაღლებაზე პერმანენტულად, რათა დაცული იყოს სწავლებისა დაშეფასების ერთიანი სტანდარტი და უზრუნველყოფილი იყოს პროგრამის ხარისხიანი განხორციელება.

ავტორიზაციის ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორი 2.2.1.3 შესაბამისობაშია

4. დაწესებულებას პერსონალის მართვის წესში განსაზღვრული აქვს პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქცია-მოვალეობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები. ექსპერტების მიერ შესწავლილი იქნა აღნიშნულ პოზიციაზე დასაქმებული პირის პირადი საქმე, რომლიდანაც ირკვევა, რომ აღნიშნული პიროვნება განათლებით არის ბებიაქალი, თუმცა აქვს გადამზადების სერტიფიკატი მასაჟის მიმართულებით და ასევე, სამუშაო გამოცდილება ამ სფეროში. შესაბამისად, მას აქვს პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქცია-მოვალეობების შესრულებისთვის საჭირო კომპეტენციები. თუმცა, რადგან აღნიშნულ პირს აქამდე არ ჰქონია ხელმძღვანელობის გამოცდილება, სასურველია, დაწესებულებამ იზრუნოს პროგრამის ხელმძღვანელის პროფესიულ განვითარებაზე აღნიშნული ფუნქციების ეფექტიანად შესრულებისათვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორი 2.2.1.4 შესაბამისობაშია

5. კოლეჯში ვიზიტისას ექსპერტთა მიერ განხორციელდა ბიბლიოთეკის დათვალიერება და ბიბლიოთეკართან გასაუბრება. ექსპერტთა მიერ გადამოწმდა პროგრამაში მითითებულ დარგობრივი თუ ზოგადი მოდულების განსახორციელებლად საჭირო სახელმძღვანელოები. შედეგად დადგინდა, რომ საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით. ბიბლიოთეკა აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით. მოწყობილია სამკითხველო სივრცე. ბიბლიოთეკაში არსებული სასწავლო რესურსი დამუშავებული საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად.

ავტორიზაციის ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორი 2.2.1.5 შესაბამისობაშია

6. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის თანახმად, დაწესებულებას განსაზღვრული აქვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი, რომელიც ადგენს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის პროცედურებს, კონკრეტული მოდულის/სწავლის შედეგის მოდიფიცირების ან აკომოდირების მიზნით. ამასთან, პროგრამის თითოეულ მოდულს ახლავს რეკომენდაციები სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლებისათვის. დაწესებულების სასწავლო გარემო ადაპტირებულია სსსმ პირებისთვის. ეს ყოველივე დაწესებულებას აძლევს საშუალებას, საჭიროების შემთხვევაში, სსსმ სტუდენტისთვის მოახდინოს სასწავლო რესურსების ადაპტირება, მისი ინდივიდუალური საჭიროებების შესაბამისად.

ავტორიზაციის ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორი 2.2.1.6 შესაბამისობაშია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

7. დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტი. განსაზღვრულია რენტაბელობის ზღვარი (22 სტუდენტი). პროგრამის ბიუჯეტი ითვალისწინებს პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს, რომელსაც რენტაბელობის ზღვრის შესაბამისი შემოსავლები სრულად ფარავს. პროგრამის ბიუჯეტი უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

   ავტორიზაციის ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორი 2.2.1.7 შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“ (ბრძანება N01-11, 16/07/2020)
- პროგრამა „მასაჟის თერაპია“ (ბრძანება N 01-29, 31/12/2025);
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - “მასაჟის თერაპია” მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის დასაბუთება;
- პროგრამის “მასაჟის თერაპია” საპროგნოზო ბიუჯეტი

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების მუხლი 3. ითვალისწინებს საგანმანათლებლო პროგრამის /კოლეჯის საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელების შეფასების მექანიზმებს, რომლისთვისაც მასში გაწერილია პროცედურები, რაც უნდა განახორციელოს კოლეჯმა, რომ უპასუხოს მისი ძირითადი დაინტერესებული მხარეების მოლოდინებს. შიდა კვლევების სამიზნე აუდიტორიაა პროფესიული სტუდენტები, პროფესიული განათლების მასწავლებლები/პროგრამის განმახორციელებელი პირები და ადმინისტრაციული პერსონალი. გარე დაინტერესებული მხარეების საჭიროებების დადგენისთვის კვლევების სამიზნე აუდიტორია კი - კოლეჯის კურსდამთავრებულები, პრაქტიკის განმახორციელებელი ბაზები, დამსაქმებლები, პროფესიული ასოციაციები და სხვ. კვლევების შედეგების და შეფასების გაანალიზება დაეხმარება კოლეჯს განახორციელოს მისი მოკლევადიანი და გრძელვადიანი გეგმები ხარისხის გაუმჯობესების კუთხით. რეგულარული კვლევების განხორციელება არის სასწავლო პროცესებზე დაკვირვების, მონიტორინგის ერთ-ერთი ინსტრუმენტი. ამ პროცესის ეფექტურად განხორციელებისათვის კოლეჯის ადმინისტრაციას გაცნობიერებული აქვს პროფესიული სტუდენტების, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალისა და ადმინისტრაციის სრული ჩართულობა; დაწესებულებას შემუშავებული აქვს კვლევის მეთოდოლოგია. აღნიშნულიდან გამომდინარე პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;

   ავტორიზაციის ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორი 2.3.1.1 შესაბამისობაშია

2. დაწესებულების წარმომადგენლებთან ინტერვიუებით, პროგრამის განვითარებისა და ხარისხის მართვის მექანიზმების დამტკიცებული დოკუმენტითაც ადასტურებენ, რომ პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების მთავარი მიზანია, გამოავლინოს არსებული ხარვეზები და დასახოს მათი აღმოფხვრის გზები. აღნიშნულიდან გამომდინარე, დაწესებულებას განსაზღვრული აქვს, რომ ხარისხის შეფასების შედეგების გამოყენება ხორციელდება შემდეგი მიზნებისთვის: პროგრამის განვითარება, მოდულების რიგითობის განსაზღვრა, სწავლების მეთოდები, შეფასების ინსტრუმენტი, საგანმანათლებლო რესურსები და სხვა. შეფასება ეყრდნობა კვლევის სხვადასხვა ინსტრუმენტით შეგროვებულ მრავალფეროვან წყაროებსა და მრავალმხრივ ინფორმაციას. ამ მექანიზმებს დაწესებულება აქტიურად იყენებს უკვე არსებულ პროგრამებთან მიმართებით, რაც ხარისხის მართვის სამსახურის ხელმძღვანელთან გასაუბრებისას კონკრეტული მაგალითებით დასტურდება. შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ კოლეჯს აქვს მზაობა ხარისხის მართვის მექანიზმების გამოყენებით შეაგროვოს ინფორმაცია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

პროგრამის შეფასების მიზნითაც და კვლევის შედეგებზე დაყრდნობით, განახორციელოს პროგრამის განვითარებისთვის საჭირო ცვლილებების ინიცირება არგუმენტირებული დასაბუთების საფუძველზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორი 2.2.1.2 შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“ (ბრძანება N01-11, 16/07/2020);
- შპს ცხუმ ეგრისის ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები (ბრძანება N 01-25, 25/09/2024);
- ინტერვიუს შედეგები

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კოლეჯის მიერ დამტკიცებული სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით განსაზღვრულია, რომ სასწავლო წლის დასაწყისში დგება სასწავლო კალენდარი, რომლშიც აისახება მოდულების დაწყებისა და დასრულების თარიღები, წინაპირობების დაცვით. სასწავლო კალენდრის შესაბამისად, დგება ცხრილები და შეფასების განრიგი სტუდენტებისთვის. პროგრამის დამატების შემთხვევაში არსებული მატერიალური რესურსი და განმახორციელებლების კომპეტენცია იძლევა საშუალებას, რომ პროცესები წარიმართოს კოლეჯის მიერ შემუშავებული სასწავლო გეგმების შესაბამისად.

   ავტორიზაციის ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორი 2.4.1.1 შესაბამისობაშია

2. დაწესებულება მზადყოფნას გამოხატავს, რომ სტუდენტთა ინტერესების კვლევის შედეგად გამოვლენილი ინდივიდუალური საჭიროებები სასწავლო პროცესში გაითვალისწინოს. მაგალითად, კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი განსაზღვრავს, რომ განსაკუთრებული საჭიროების შემთხვევაში აკადემიურ დირექტორს შეუძლია სასწავლო კალენდარში ცვლილებების შეტანა, რაც გულისხმობს კონკრეტული ჯგუფისთვის ინდივიდუალური სასწავლო კალენდრის შემუშავებას. ამასთანავე, ხარისხის მართვის მექანიზმები უზრუნველყოფს სტუდენტთა უკუკავშირის შეგროვებას და მიღებულ შედეგებზე დაყრდნობით, საჭიროების შემთხვევაში, პროგრამაში ცვლილებების ინიცირებას. აღნიშნული პრაქტიკა ქმნის რეალურ შესაძლებლობას პროფესიული სტუდენტების ინტერესების გათვალისწინებისა და მათ საჭიროებებზე ეფექტური რეაგირებისთვის.

   ავტორიზაციის ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორი 2.4.1.2 შესაბამისობაშია

3. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამა „მასაჟის თერაპია“ ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა (მათ შორის, კომპიუტერული ტექნოლოგიების) და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას. ინტერვიუებით დადგინდა, რომ განმახორციელებლებს აქვთ ტექნოლოგიების გამოყენების, წვდომისა და ინფორმაციის მოპოვების უნარები. პროგრამის განხორციელების მიზნით, სასწავლო გარემოც მოწყობილია აღნიშნული მეთოდოლოგიით სწავლებისათვის საჭირო ინვენტარით.

   ავტორიზაციის ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორი 2.4.1.3 შესაბამისობაშია

4. შპს ცხუმ ეგრისის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით, სტუდენტის აკადემიური მოსწრების ხელშეწყობის მიზნით, დამდგარი საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია მოდულის დასრულებამდე დანიშნოს დამატებითი მეცადინეობები ან ინდივიდუალური კონსულტაციები სასწავლო კალენდარში ცვლილების გარეშე. აღნიშნული პრაქტიკის გამოყენების გადამოწმება განსახილველ პროგრამაზე ვერ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

მოხერხდა, ვინაიდან ის ჯერ არ ხორციელდება, თუმცა დაწესებულებას აქვს შესაბამისი მზაობა, გამოიყენოს მარეგულირებელ დოკუმენტებში გაწერილი მექანიზმები.

ავტორიზაციის ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორი 2.4.1.4 შესაბამისობაშია

5. კოლეჯს საკუთარ ბაზაზე აქვს უზრუნველყოფილი პროგრამა სრულად ყველა საჭირო რესურსით. შესაბამისად დამატებითი ხელშეკრულების გაფორმების საჭიროება არ დგას. "მასაჟის თერაპიის" პროგრამა არ ითვალისწინებს სწავლის შედეგების მიღწევას პრაქტიკის განმახორციელებელ ობიექტზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორი 2.4.1.5 შესაბამისობაშია

6. კოლეჯის ინფრასტრუქტურა ქმნის უსაფრთხო სასწავლო გარემოს. შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, თავისი ფუნქცია მოვალეობების შესაბამისად, რეგულარულად განსაზღვრავს და აფასებს რისკებს, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით. "მასაჟის თერაპიის" პროგრამის დამტკიცებამდეც მის მიერ განხორციელდა პროგრამის საფრთხეებისა და რისკების შეფასება. უსაფრთხოების საკითხები დაწესებულების მიერ გათვალისწინებულ იქნა სასწავლო გარემოს მოწყობისას.

ავტორიზაციის ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორი 2.4.1.6 შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი" (ბრძანება N01-11, 16/07/2020)
- პროგრამა „მასაჟის თერაპია" (ბრძანება N 01-29, 31/12/2025);
- ინტერვიუ;

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

1. კოლეჯი უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტების შეფასების სისტემის სანდო, ვალიდურ, სამართლიან და გამჭვირვალე ფუნქციონირებას. შეფასების ძირითადი პრინციპები გაწერილია დოკუმენტში „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“ და ეფუძნება შედეგებზე ორიენტირებულ, სამართლიან და არგუმენტირებულ მიდგომებს. ინსტრუმენტის შემუშავება, მისი ვალიდაცია, შეფასების სისტემის შიდა ვერიფიკაცია, ასევე შეფასების პროცესის შესახებ პროფესიული სტუდენტების ინფორმირება და მიღებული შედეგების გამოყენება რეგულირდება შესაბამისი წესით. აღნიშნულ წესს თან ერთვის დანართი, სადაც წარმოდგენილია შეფასების ფორმები, ჩექლისტები და კითხვარები. შეფასების სისტემა, განმსაზღვრელი შეფასების გარდა, მოიცავს განმავითარებელ შეფასებასაც. განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს ერთჯერადად მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება, მათ შორის მოდულური პროგრამის მიმდინარეობის პროცესშიც. განმეორებითი შეფასება ტარდება პირველადისაგან განსხვავებული ინსტრუმენტის გამოყენებით. ასევე, სტუდენტის გამოუცხადებლობის ან შედეგის დაუდასტურებლობის შემთხვევაში, თუ კონკრეტული მოდულის დაძლევა შემდგომ ეტაპზე გადასვლის წინაპირობაა, მას ეძლევა დამატებითი შეფასების შესაძლებლობა. პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს, შეფასების შედეგის არასამართლიანად მიჩნევის შემთხვევაში, ისარგებლოს აპელაციის მექანიზმით. აღნიშნული წესის გაცნობა შესაძლებელია დაწესებულების ვებგვერდზე, ხოლო სწავლის დაწყებისას სტუდენტებს დამატებით ეძლევათ ინფორმაცია აღნიშნულ პროცედურებზე. შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია და პროგრამაში გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი და ობიექტური.

   ავტორიზაციის ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორი 2.4.2.1 შესაბამისობაშია

2. დაწესებულებაში მოქმედებს შიდა ვერიფიკაციის სისტემა, რომელიც მოიცავს შეფასების ინსტრუმენტების, თავად შეფასების პროცესისა და შესაბამისი მტკიცებულებების გადამოწმებას და ეფუძნება ვერიფიკაციის საერთაშორისოდ აღიარებულ პრინციპებს. პროცესი ხორციელდება „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ მიხედვით განსაზღვრული პროცედურების დაცვით. შიდა ვერიფიკაცია მიმდინარეობს სამი ძირითადი მიმართულებით: შეფასებისას გამოყენებული ინსტრუმენტების ვერიფიკაცია, შეფასების პროცესის ვერიფიკაცია და მტკიცებულებების ვერიფიკაცია. ხარისხის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი, ვერიფიკაციის ჯგუფთან ერთად, კოლეჯის წლიური სამოქმედო გეგმის დაწყების ეტაპზე ამზადებს ვერიფიკაციის გეგმას, რომელიც ეფუძნება რისკების ანალიზს და მოიცავს შესაბამისი მოდულების შერჩევას, შიდა ვერიფიკატორების გადანაწილებას და თითოეული მოდულისთვის დარგის სპეციალისტის განსაზღვრას. შიდა ვერიფიკატორი მტკიცებულებებზე დაყრდნობით ამზადებს დასკვნას, სადაც აფასებს პროფესიული სტუდენტების შეფასების სანდოობას, ვალიდურობას, გამჭვირვალობას,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____

სამართლიანობასა და ობიექტურობას, და გამოყოფს ყველა მნიშვნელოვან პრობლემურ საკითხს. აღნიშნული დასკვნის განხილვის საფუძველზე ვერიფიკაციის ჯგუფის ხელმძღვანელი ახდენს ხარვეზების იდენტიფიცირებას, რის შემდეგაც სამუშაო ჯგუფთან შეთანხმებით ამუშავებს რეკომენდაციებს და წარადგენს აკადემიურ დირექტორთან. ვერიფიკაციის მექანიზმი დეტალურად განსაზღვრავს განსახორციელებელ აქტივობებსა და პასუხისმგებელი პირების ფუნქციებს, რაც უზრუნველყოფს პროცესის სისტემურობასა და გამჭვირვალობას. აღნიშნული პროცედურების ეფექტიანი განხორციელება რეალურად უზრუნველყოფს კოლეჯში სტუდენტთა შეფასების სისტემის ეფექტიანობის სრულფასოვან ანალიზს. ავტორიზაციის ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორი 2.4.2.2 შესაბამისობაშია

3. კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგლირებელი წესით განსაზღვრულია, რომ პროგრამის ფარგლებში განხორციელებული შეფასების მტკიცებულებები 3 წლის ვადით უნდა ინახებოდეს კოლეჯში, პროგრამის ხელმძღვანელის მიერ წარმოებულ სტუდენტის პორტფოლიოში/ელექტრონულ საცავში. ხოლო შეფასების უწყისების შენახვა ხდება ცალკე, უვადოდ, სპეციალურად გამოყოფილ სივრცეში. რეგულაცია ითვალისწინებს მტკიცებულებათა განადგურების პროცედურასაც: შესაბამისი კომისია ახდენს სამი წლის მტკიცებულებების განადგურებას.
   ავტორიზაციის ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორი 2.4.2.3 შესაბამისობაშია

4. დაწესებულებაში არსებული შეფასების სისტემის მიხედვით კრედიტის მოპოვებისთვის პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დაადასტუროს ყველა სწავლის შედეგი. შეფასების შემდეგ, პროფესიული განათლების მასწავლებელი აანალიზებს მიღებულ შედეგებს. მიღებული შედეგების მიხედვით სტუდენტებს ეძლევათ უკუკავშირი და რეკომენდაციები. შეფასების შედეგების გაცნობა ხდება ინდივიდუალურად. რაც დასტურდება დაწესებულების პერსონალთან და სხვა პროგრამების განმახორციელებებთან
   ავტორიზაციის ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორი 2.4.2.4 შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- პროგრამა „მასაჟის თერაპია“ (ბრძანება N 01-29, 31/12/2025);
- „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“ (ბრძანება N01-11, 16/07/2020);

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____

- შპს ცხუმ ეგრისის ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები (ბრძანება N 01-25, 25/09/2024);
- შპს ცხუმ-ეგრისის პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის სტრატეგია(ბრძანება N 01-24, 20/09/2024);
- ინტერვიუს შედეგები

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი

.....
.....
.....
.....

.....30.03.2025.....
თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____